საბჭოთა სადამსჯელო ფსიქიატრიის გამოცდილება საქართველოში

ია ლოდია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

თანამედროვე საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ხვადაგიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა

და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ ნინო

მატარაძეს ამავე ფაკულტეტის თანამედროვე

საქართველოს ისტორიის მაგისტრანტის

ია ლოდიას

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ია ლოდია

2023

აბსტრაქტი

სადამსჯელო ფსიქიატრია დაახლოებით 50 წელია, განსჯის საგანია მსოფლიო ფსიქიატრთა საზოგადოებაში. *იგი* აღნიშნავს ფსიქიატრიის გამოყენებას იმ ადამიანებთან პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის, რომლებიც არ იზიარებენ დამყარებულ სახელმწიფო წესრიგსა და იდეოლოგიას.

წინამდებარე ნაშრომში ერთი მხრივ, წარმოდგენილია სადამსჯელო ფსიქიატრიის პოლიტიკური დისიდენტების წინააღმდეგ გამოყენების დინამიკა საბჭოთა კავშირში, მეორე მხრივ, ნაკვლევია აღნიშნული პრაქტიკის გამოცდილება საბჭოთა საქართველოს მასშტაბით ცალკეულ პიროვნებათა ისტორიის აღდგენით.

ნაშრომის პირველი ნაწილი დაფუძნებულია სამეცნიერო ლიტერატურასა და უცხოურ არქივებზე, ხოლო მეორე, კვლევითი ნაწილი *შემთხვევათა ანალიზის* (Case Study) მეთოდოლოგიას ეყრდნობა, რაც გულისხმობს ცალკეული პიროვნებების სისხლის სამართლის წარმოების მასალების შესწავლას, მათთან/დაახლოებულ პირებთან ინტერვიუს ჩატარებას, პირადი წერილების/დღიურებისა თუ საგაზეთო სტატიების ანალიზს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საბჭოთა სადამსჯელო ფსიქიატრია, საბჭოთა კავშირი, ფსიქიატრიული საავადმყოფო, ფსიქიკური აშლილობა, დისიდენტი

Abstract

The issue of Psychiatry Abuse has been a topic of discussion among the World Psychiatrists Society for approximately 50 years. This term refers to the utilization of psychiatry for political purposes, specifically targeting individuals who oppose the established state order and ideology.

This paper aims to explore two aspects: Firstly, it presents the dynamics of punitive psychiatry employed against political dissidents in the Soviet Union. Secondly, it examines the experiences of individuals affected by this practice within Soviet Georgia, by delving into their personal histories.

The first section of the paper draws upon scientific literature and foreign archives to provide a comprehensive understanding of the subject. The second section employs a case study methodology, which involves analyzing materials from criminal proceedings involving specific individuals, conducting interviews with the affected individuals or their close associates, searching for personal correspondence, and analyzing newspaper articles.

Keywords: Soviet abusive psychiatry, Soviet Union, mental hospital, mental disorder, dissident